ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 146-ბ

„ 22 “ „ 12 „ 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა”** (ს/კ 226575024) (შემდგომში - **„შემსყიდველი“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ **ს.ს „ელიტ ელექტრონიქსი“** (შემდგომში - **„მიმწოდებელი“**) წარმოდგენილი დირექტორის ლადო ჯობავას მინდობილი პირის, კორპორატიული გაყიდვებისა და პროექტების დეპარტამენტის დირექტორის თამარ ბიჭიაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემსყიდველის საჭიროებისათვის კონდენციონერისა და მისი დასაყენებლის CPV-კოდი **42500000** - გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები, **44500000** - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორებიCPV-კოდი ობიექტი - 42512200 - კედლის კონდიციონერები, **44530000** - დამჭერები) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1200 (ერთი ათას ორასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. კონცენციონერი (HYUNDAI-ESF-18HN1) 1-ერთი ცალი. ღირებულება შეადგენს 1165 (ერთი ათას ასსამოცდახუთი) ლარს.

3.2. კონცენციონერის დასამონტაჟებელი კრონშტეინი 1 ცალი 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის ცენტრალური საწყობიდან სამგორის ჩიხი #9

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი” „შემსყიდველს” წარუდგენ მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდ წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ორგანოდან) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესი მიხედვით.

6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

6.3. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა მიღება – ჩაბარების აქტი გაფორმებიდან 2 წელი.

6.4. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვი შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

6.5. . „მიმწოდებელი“ ვალდებულია განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ა შეცვლა, საგარანტიო პირობების შესაბამისად.

6.6. საგარანტიო მომსახურება არ განხორციელდება, თუ დარღვეულია პირობა, რომელიც მითითებული „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებულ საგარანტიო ბარათში.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

7.3.ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

8.1.3 გადასცეს საქონლის მიწოდებისთანავე შემსყიდველს საგარანტიო ბარათი;

8.1.4 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.5 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.

8.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

9.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპრეცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14,2 . ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. ხელშეკრულების 14.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;ასეთ დროს მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულება;

15.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ასათიანი

16.2. წიმანდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:

16.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

16.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან'.'

19. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ“ეროვნული საშენი მეურნეობა”	**ს.ს „ელიტ ელექტრონიქსი“**
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის 24
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თი ბი სი ბანკი“
სახაზინო კოდი TRESGE22	კოდი № TBCBGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა № GE69TB0600000120467205
ს/კ № 226575024	ს/კ №202268928
გიორგი მეტრეველი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	თამარ ბიჭიაშვილი მიწდობილი პირი